პრევენციული მტკიცებულებითი სკოლაზე დაფუძნებული პროგრამის („ფონოგრამის გარეშე“ – „UnPlugged“) დანერგვა საქართველოში: გამოცდილების ანალიზი

ნინო წიქარიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დარეჯან ჯანა ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

სარჩევი

Abstract iv

აბსტრაქტი v

აბრევიატურების განმარტებები vi

შესავალი 1

ლიტერატურის მიმოხილვა 2

პრევენციის რაობა და სახეები 2

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება მოზარდებში 5

ნარკოტიკების პრევენციის საერთაშორისო სტანდარტები 6

პროგრამის „ცოცხალი შესრულებით“ თეორიული მოდელი 10

„ცოცხალი შესრულებით“- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პროგრამა 12

„ცოცხალი შესრულებით“ პროგრამის აღწერა 13

Fidelity check - პროგრამის განხორციელების სიზუსტე 18

პროგრამის - „ ფონოგრამის გარეშე“ განხორციელების საერთაშორისო გამოცდილება 18

პროგრამის „ფონოგრამის გარეშე“ დანერგვა საქართველოში 20

კვლევის მეთოდი 22

კვლევის პროცესი 22

ანალიზის მეთოდი 23

კვლევის რესპონდენტები 23

კვლევის ინსტრუმენტი 23

ეთიკური საკითხები 23

შედეგები 24

სპეციალისტების შერჩევა და მომზადება 24

პროგრამის სკოლაში ჩატარება: ბარიერები 25

პროგრამის სკოლაში ჩატარება: ხელშემწყობი ფაქტორები 30

პროგრამის განმახორციელებლების უკუკავშირი 31

პროგრამის მიმდინარე პრობლემები 32

პროგრამის შედეგები და ნასწავლი გაკვეთილები 33

პროგრამის განხორციელების გაუმჯობესების შესაძლებლობები 36

კვლევის შეზღუდვები 37

დისკუსია 37

დასკვნა 39

რეკომენდაციები 39
გამოყენებული ლიტერატურა 41
დანართი 1 42
დანართი 2 45
დანართი 3 47

Abstract

Introduction – The master's thesis deals with the implementation of preventive evidence-based, school-based program "Unplugged" in Georgian schools; In particular, the study of barriers to implementation, enabling factors and opportunities for improvement.

Methodology – A qualitative research method was chosen for the work. 1 in-depth interview with a representative of the administration from Office of resource officers of educational Institutions Psychosocial Service Center and 3 focus groups with social workers and psychologists of the same centre were conducted. 8 social workers were also divided into 2 focus groups (4social workers in each group) and 3 psychologists as 1 focus group.

Results – During the implementation of the "Unplugged" program, social workers and psychologists face the following barriers from the school: not being able to find time for the program in the school schedule, lack of class time, incomplete staff training, and malfunction of the assessment tool.

Conclusion - It is necessary to advocate with the education system in order to: include the program in the school curriculum, and more frequent and comprehensive training of personnel from the Office of resource officers of educational Institutions Psychosocial Service Center. The program evaluation tool needs to be refined.

Key words - school-based prevention, prevention of psychoactive substance use, evidence-based prevention

აბსტრაქტი

შესავალი - სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში მოხდა სკოლაზე დაფუძნებული მტკიცებულებითი პრევენციული პროგრამის „ფონოგრამის გარეშე“ საქართველოს სკოლებში დანერგვის გამოცდილების კვლევა; კერძოდ, განხორციელების ბარიერების, ხელშემწყობი ფაქტორებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობების შესწავლა.

მეთოდოლოგია - ნაშრომის შესასრულებლად შეირჩა თვისებრივი კვლევის მეთოდი. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრის თანამშრომლებთან ჩატარდა 1 ჩაღრმავებული ინტერვიუ ადმინისტრაციის წარმომადგენელთან და 3 ფოკუს ჯგუფი სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 8 სოციალურმა მუშაკმა, რომლებიც 2 ფოკუს ჯგუფში იყვნენ განაწილებული (4-4 სოციალური მუშაკი თითოეულ ჯგუფში), 3-მა ფსიქოლოგმა, რომლებიც ერთ ფოკუს ჯგუფში გაერთიანდნენ. მონაცემები დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდით.

შედეგები - პროგრამის „ფონოგრამის გარეშე“ განხორციელებისას სოციალური მუშაკეები და ფსიქოლოგები აწყდებიან ბარიერებს სკოლის მხრიდან, როგორიცაა საგაკვეთილო ბადეში პროგრამისათვის დროის ვერ გამონახვა, საგაკვეთილო დროის სიმცირე, კადრების არასრული გადამზადება და შეფასების ინსტრუმენტის გაუმართავობა.

დასკვნა - საჭიროა განათლების სისტემასთან ადვოკატირება, რათა მოხდეს: პროგრამის ჩართვა სასკოლო საგაკვეთილო ბადეში, და სსსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის მხრიდან კადრების უფრო ხშირი და სრულფასოვანი გადამზადება. ასევე, საჭიროა პროგრამის შეფასების ინსტრუმენტის დახვეწა.

საკვანძო სიტყვები - სკოლაზე დაფუძნებული პრევენცია, ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარების პრევენცია, მტკიცებულებითი პრევენცია

აბრევიატურების განმარტებები

ESPAD - European School Survey Project on Alcohol and Other Drugs, ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი

EU-DAP - European Drug Abuse Prevention ევროპის ნარკოტიკებზე დამოკიდებულების პრევენციის პროგრამა

EUPC - European Prevention Curriculum, პრევენციის ევროპული კურიკულუმი

სსსმ - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე